

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება №

2022 წლის „ ივნისი, ქალაქი ბათუმი

მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა განხორციელოს მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მოსარგებლე შერჩეული ოჯახებისათვის ქალაქ ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N78ბ-ში, N05.26.02.015 საკადასტრო კოდით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე „ა“ და „ბ“ კორპუსებში არსებული (რეგისტრირებული) საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, 15 წლის ვადით გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ.

2. მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მოსარგებლე შერჩეული ოჯახებისათვის კონკრეტული ბინები განისაზღვროს ლოტოტრონის წესით, რომლის ჩატარება უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 19 სექტემბერს გამოცა N73 განკარგულება „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც ძირითადად შეეხება პროგრამით მოსარგებლე ბენიფიციართა შერჩევის და ბინების გადაცემის საკითხებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა, ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N78ბ-ში N05.26.02.015 საკადასტრო კოდით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე „გ“ და „დ“ კორპუსებში არსებული (რეგისტრირებული) საცხოვრებელი ბინების შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ 15 წლის ვადით გადაცემა. იგივე პროცედურები უნდა განხორციელდეს „ა“ და „ბ“ კორპუსებში არსებულ (რეგისტრირებულ) საცხოვრებელი ბინებთან დაკავშირებით, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს უნდა მიეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი თანხმობა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელება, N05.26.02.015 საკადასტრო კოდით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე „ა“ და „ბ“ კორპუსებში არსებული (რეგისტრირებული) საცხოვრებელი ბინების გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელებით გაიზრდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე